ჩემპიონატი

თბილისის “დინამომ” წააგო მატჩი ოდესაში

(ოდესა, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

16 ივნისს, თბილისის დინამოელებმა ოდესაში ჩაატარეს მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრკ პირველობაზე. ამ დღეს თბილისელთა წინააღმდეგ თამაშობდა **ოდესის “დინამოს”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

პირველი ტაიმი დაიწყო თბილისელთა უპირატესობით. თავდამსხმელთა ხუთეულის ცენტრი პაიჭაძე მე-6 წუთზე მოხერხებულად არღვევს მოწინააღმდეგეთა დაცვის ძლიერ ხაზს და გააქვს პირველი ბურთი. ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ოდესის “დინამოს” თავდამსხმელები ხშირი სტუმრები გახდნენ თბილისის კარის მოედნისა. მე–27 წუთზე მარცხენა ნახევარშუამარბი ონიშენკო სარგებლობს დაცვის შეცდომით და ათანაბრებს ანგარიშს. ტაიმის ბოლომდის მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 1:1.

მეორე ტაიმში თბილისელებმა შედარებით სუსტი და მოდუნებული თამაში გამოამჟღავნეს, ხოლო ოდესელებმა კი პირიქით. მე-7 წუთზე ოდესის “დინამოს” მარჯვენა გარემარბს, ღიად დატოვებულ კალაშნიკოვს გააქვს მეორე ბურთი. თბილისელები საპასუხო ბურთის გატანას ახერხებენ მხოლოდ 33-ე წუთზე და ისიც პენალტით.

თამაშის შემდეგ წუთებში გადამწყვეტი ბურთისათვის ენერგიული ბრძოლა თბილისელთა მხრივ არ მოჩანს, სუსტია დაცვაც, რის შედეგად 36-ე წუთზე მარჯვენა გარემარბს კვლავ ღიად დატოვებულ კალაშნიკოვს გააქვს მესამე და გადამწყვეტი ბურთი.

მეშვიდე კალენდარული მატჩი წააგო თბილისის “დინამომ” ანგარიშით – 2:3 და დაკარგა ლიდერობა.

თბილისელები თამაშობდნენ ძირითადი შემადგენლობით ჯორჯიკიას გამოკლებით, რომელიც ბერეჟნოიმ შეცვალა.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 17 ივნისი, 1939 წ.